

გუშინწინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრა მოეწყოვ რესპუბლიკის სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუას, ბარსელონის ევროპული ჩემპიონატიდან ახლახან ტრიუმფით დაბრუნებულ მოცურავე თ. ლეკვეიშვილს, სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრების წევრს, ბათუმელ ვ. კრასკოს და საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს მ. ტატიშვილს.

სპორტსმენებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი. შემდეგ სპორტსმენებმა შეკრებილთ მოუთხრეს განვლილი ბრძოლების შესახებ, თავიანთ ცხოვრებაზე, მომავლის გეგმებზე. საინტერესოდ ილაპარაკა თავის აღსაზრდელზე თ. ლეკვეიშვილის მწვრთნელმა მ. ტატიშვილმა.

თ. ლეკვეიშვილი, რ. რურუა, ვ. კრასკო, აგრეთვე, მათი მწვრთნელები მ. ტატიშვილი, ნ. აკოფოვი და ს. შაგოვა დაჯილდოვდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — მ. ტატიშვილი, თ. ლეკვეიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლალიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, ვ. კრასკო და რ. რურუა.

მ. ზარგარიანის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 184 (4178)

1970 წ. 19 სექტემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საპატიო წიგნში

საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის და მოცურავეთა 1970 წლის ევროპულ ჩემპიონატში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებისთვის თინათინ ლეკვეიშვილის გვარი შეტანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

## ფარსი კოლუმბუსში გრძელდება

ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ამერიკის ქალაქი კოლუმბუსი უკვე საეჭვო დიდებით შეიმოსა. ძალოსანთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ამერიკელთა ლაქიების უმრავლესობის წყალობით, ფედერაციის პრეზიდენტის, ამერიკელი კ. ჯონსონისა და გენერალური მდივნის, ინგლისელი ო. სტეიტის თავკაცობით ყოველგვარი სამართლიანობის დარღვევით ჩამოართვა შესანიშნავ საბჭოთა ათლეტს ი. ტალტსს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მძიმე წონაში, რომელიც მან შარშან ვარშავაში მოიპოვა. ძალოსნობის ყოველგვარი წესების დარღვევით ჩემპიონად გამოცხადდა ამერიკელი რ. ბედნარსკი.

პროვოკაციების ხელმძღვანელები ამას როდი დასჯერდნენ. როგორც იუპ-ის, რეიტერისა და ფრანს პრესის სააგენტოების კორესპონდენტები იტყობინებიან, კოლუმბუსში დისკვალიფიკაცია უყვეს უმჩატესი და მჩატე წონების ხუთ ძალოსანს.

ასეთი გადაწყვეტილების საბაბი ის იყო, რომ ამ სპორტსმენებს თითქოს დოპინგი ჰქონდათ მიღებული. მაგრამ მოხდა ერთი „უცნაური ამბავი": ყველა დისკვალიფიცირებული სპორტსმენი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლია. ამასთან, ხუთივე ძალოსანი პრიზიორია. ესენი არიან სვერდლოვსკელი ვ. სმეტანინი, აგრეთვე, ორ-ორი სპორტსმენი უნგრეთიდან და პოლონეთიდან.

ასეთი აკვიატებული „უცნაურობანი" ძალიან გახშირდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დოპინგის შურეველი დაბეჭდილი არ იყო, ხოლო ლაბორატორიაში ანალიზის გასაკეთებლად იგი წაიღო ერთმა კაცმა (ამერიკელმა), თანმხლებ პირთა გარეშე.

უმჩატეს წონაში მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს ფილიპინელი დელ როზარიო, რომელმაც მთელი 20 კგ წააგო მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონთან, უნგრელ შ. ხოლცრეიტერთან. მედლები ჩამოართვეს ყველა პრიზიორს უმჩატეს და მჩატე წონაში, ირანელი მ. ნასირის გარდა.

სსრ კავშირის, უნგრეთისა და პოლონეთის დელეგაციების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს კოლუმბუსში ახალ პროვოკაციებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ შეჯიბრების ხელმძღვანელები ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ზოგიერთი წევრის მხარდაჭერით ისახავენ მიზნებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სპორტთან.

(საკდესი).

[illegible] … $19^{45}$

## ვ. ივანჩენკო — მსოფლიო ჩემპიონიც, რეკორდსმენიც!

◆ კოლუმბუსი, 18 სექტემბერი. 24 წლის რიგელმა გ. ივანჩენკომ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში არა მარტო დაამტკიცა, რომ უძლიერესია საშუალო წონაში, არამედ სამჭიდის ჯამში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 505 კგ (165+150+190). ახალი ჩემპიონის კოლექციაში თავმოყრილია სამივე მცირე მედალი ცალკეულ მოძრაობებში საუკეთესო შედეგებისთვის. ვერცხლის პრიზიორი გახდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, პოლონელი ნ. ოზიმეკი — 482,5. ბრინჯაო მოიპოვა 24 წლის საბჭოთა გოლიათმა, როსტოვის ოლქის სპორტსმენმა დ. რიგერტმა (აჩვენა ასეთივე შედეგი სამჭიდში, ოღონდ წონით მეტი აღმოჩნდა პოლონელზე). საბჭოთა ძალოსნების წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ორივე პირველად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატში. ივანჩენკო დამაჯერებლად მიიწევდა წარმატებისკენ. მან არც ერთხელ არ დაუთმო მეტოქეებს, რომელთა შორის იყო შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, იაპონელი მ. ოუჩიც. ეს უკანასკნელი საბოლოო ჯამში VI ადგილზე აღმოჩნდა და 35 კგ-ით ჩამორჩა რიგელს. ივანჩენკომ 187,5 კგ აჰკრა და 2,5 კგ-ით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი სამჭიდში. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენი ამას არ დასჯერდა. მან მოითხოვა 2,5 კგ-ით გაეზარდათ შტანგის წონა და ჩინებულად გაართვა თავი ამ ამოცანასაც. ივანჩენკომ 5 კგ-ით გააუმჯობესა თავისივე ფანტასტიკური შედეგი, რომელსაც აპრილში სსრ კავშირის ჩემპიონატში მიაღწია.

## ვ. კურენცოვის გამარჯვება და... კიდევ ერთი ფარსი



კოლუმბუსი, 17 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატის ფიცარნაგზე კვლავ არ აღმოაჩნდა ბადალი საბჭოთა ძალოსანს, 29 წლის ვ. კურენცოვს (ქვესაშუალო წონა). თუმცა მოსკოვის ოლქის არმიელი თავისი სარეკორდო მაჩვენებლებისგან ახლა შორს იყო, მაგრამ მეოთხედ მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის სახელი — სამჭიდის ჯამში 462,5 კგ (152,5+130+180) დააგროვა. ოქროს კიდევ 2 მედალი კურენცოვმა აჭიმვასა და აკვრაში საუკეთესო შედეგებისთვის დაისაკუთრა.

ვერცხლის მედალი წილად ხვდა ნორვეგიელ ლ. იენსენს (455 კგ), ხოლო ბრინჯაოსი — უნგრელ გ. სარვაშს (450 კგ).

აი, კიდევ ერთი ახალი ამბავი, რომელიც ფიცარნაგზე კი არ მოხდა, არამედ ჩემპიონატის კულისებში: ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრების სამ პრიზიორს — პოლონელებს ზ. ნოვაკსა და ი. ვოინოვსკის, იაპონელ ი. მიიაკეს, აგრეთვე, მსუბუქი წონის ათლეტთა ტურნირის მესამე პრიზიორს ი. ბაგოჩს (უნგრეთი) დისკვალიფიკაცია მიეცათ იმ საბაბით, თითქოს დოპინგი გამოიყენეს. მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადებულია უნგრელი ი. ბენედეკი, რომელმაც სამჭიდში 382,5 კგ მოაგროვა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. კურენცოვი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

## [illegible]

● მოსკოვი, 17 სექტემბერი. ჰოკეისტთა ადგილობრივმა გუნდებმა ცსკა-მ და „სპარტაკმა" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები ჩაატარეს. სსრ კავშირის ჩემპიონმა — ცსკა-მ შვეციაში ანგარიშით 6:2 სძლია „ლეკსანდს", ხოლო „სპარტაკმა" იიგლავაში (ჩეხოსლოვაკია) მწვავე ბრძოლის შემდეგ აჯობა ადგილობრივ „დუკლას" — 4:3.

● ანკარა, 17 სექტემბერი. მოფარიკავეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით იბრძვიან საბჭოთა რაპირისტები — ისინი გუნდური შეჯიბრების ფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მათ დაამარცხეს რუმინელები (მეოთხედფინალში საბჭოთა გუნდმა იოლად სძლია იაპონელებს — 9:1, ხოლო რუმინელებმა აჯობეს ფრანგებს — 9:5). ფინალში საბჭოთა ნაკრები შეხვდება უნგრელებს, რომლებმაც ნახევარფინალში იტალიელებს დაამარცხეს ფარ-ხმალი — 9:5 (მეოთხედფინალში უნგრელებმა გფრ-ის მოფარიკავეებთან ფრედ — 8:8 დაამთავრეს შეხვედრა და ფინალში მიღებული ჩხვლეტის ნაკლები რაოდენობის წყალობით გავიდნენ. ასეთივე ანგარიშით აღინიშნა იტალიელთა და პოლონელთა მატჩი და აქაც ჩხვლეტების რაოდენობამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი იტალიელთა სასარგებლოდ).

● ლაიპციგი, 17 სექტემბერი. სსრ კავშირისა და პოლონეთის მძლეოსნებთან მომავალი მატჩის (26-27 სექტემბერი) წინ გდრ-ის სპორტსმენებმა აქ „რეპეტიცია" გამართეს — ბულგარეთისა და ფინეთის მძლეოსნებს შეხვდნენ. ზოგიერთ სახეობაში მასპინძლებმა თავიანთი „მეორე ნომრები" გამოიყვანეს. საბოლოოდ, გდრ-ის მძლეოსანმა ვაჟებმა წააგეს ფინეთის ნაკრებთან (93:119) და მოუგეს ბულგარელებს — 140:70. მასპინძელმა ქალებმა კი ორივე მეტოქე დაამარცხეს. ქალთა შორის უნდა აღინიშნოს მ. ჰერბსტის გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში — 663 სმ (გდრ-ის რეკორდი და ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში), რ. შმიდტის წარმატება სიმაღლეზე ხტომაში (180 სმ), 100 მეტრზე თარჯრბენში ბ. პოდეშვას (ორივე — გდრ) გამარჯვება — 13,3 წამი. 400 მეტრზე რბენაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა ბ. ეკლუნდმა — 53,0. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. გუმელმა (გდრ) ბირთვი 18,59 მეტრზე ჰკრა (მეორე იყო ბულგარელი ი. ხრისტოვა — 17,09 მ). ვაჟთა შორის 400 მეტრზე რბენაში ფინეთის რეკორდი გაიმეორა მ. კუკახომ — 46,1. თავი გამოიჩინეს გდრ-ის მტყორცნელებმა: დ. ტორიტმა ბადრო 60,32 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ჰ. ბრეზენიკმა ბირთვი 20,11 მეტრზე ჰკრა. შუბის მტყორცნელთა შორის ყველას აჯობა ფინელმა ი. კინუნენმა — 82,22 მ.

● ედმონტონი, 17 სექტემბერი. აქ, კანადის პროვინცია ალბერტის დედაქალაქში, ერთმანეთს შეხვდნენ კანადისა და შვეციის მძლეოსანთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 201:146. თავი ისახელეს შვედმა მხტომელებმა: ჩ. იზაკსონმა ჭოკით 519 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, ხოლო კ. ლიუნდმარკმა 216 სმ სიმაღლე დაძლია. ქალთა შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ქ. ლიუნდგრენი (შვეცია), რომელმაც 200 მ 23,8 წამში გაირბინა და კანადელი დ. ბრილი, რომელმაც ფოსბიურის ყაიდით 174 სმ სიმაღლე დაძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1969-1972 წლებისთვის

## ძალოსნობა

### სათანრიგო მოთხოვნები

| წონითი კატეგორია | აჭიმვა | ატაცი | აკვრა | სამჭიდი |
|---|---|---|---|---|
| კილოგრამებში | | | | |
| **სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** | | | | |
| უმჩატესი წონა | — | — | — | 320,0 |
| მჩატე | — | — | — | 370,0 |
| ქვემსუბუქი | — | — | — | 390,0 |
| მსუბუქი | — | — | — | 435,0 |
| ქვესაშუალო | — | — | — | 470,0 |
| საშუალო | — | — | — | 490,0 |
| ქვემძიმე | — | — | — | 515,0 |
| მძიმე | — | — | — | 540,0 |
| ზემძიმე | — | — | — | 580,0 |
| **სპორტის ოსტატი** | | | | |
| უმჩატესი | 82,5 | 85,0 | 107,5 | 275,0 |
| მჩატე | 95,0 | 97,5 | 122,5 | 315,0 |
| ქვემსუბუქი | 100,0 | 102,5 | 130,0 | 332,5 |
| მსუბუქი | 107,5 | 112,5 | 145,0 | 365,0 |
| ქვესაშუალო | 115,0 | 120,0 | 152,5 | 387,5 |
| საშუალო | 120,0 | 125,0 | 160,0 | 405,0 |
| ქვემძიმე | 125,0 | 130,0 | 165,0 | 420,0 |
| მძიმე | 130,0 | 135,0 | 172,5 | 437,5 |
| ზემძიმე | 137,5 | 142,5 | 180,0 | 460,0 |
| **სპორტის ოსტატობის კანდიდატი** | | | | |
| უმჩატესი | 72,5 | 77,5 | 100,0 | 250,0 |
| მჩატე | 82,5 | 87,5 | 120,0 | 290,0 |
| ქვემსუბუქი | 87,5 | 92,5 | 125,0 | 305,0 |
| მსუბუქი | 97,5 | 102,5 | 135,0 | 335,0 |
| ქვესაშუალო | 105,0 | 110,0 | 145,0 | 360,0 |
| საშუალო | 107,5 | 112,5 | 152,5 | 372,5 |
| ქვემძიმე | 112,5 | 117,5 | 157,5 | 387,5 |
| მძიმე | 127,5 | 132,5 | 162,5 | 422,5 |
| ზემძიმე | 132,5 | 137,5 | 172,5 | 442,5 |
| **პირველი თანრიგი** | | | | |
| უმჩატესი | 65,0 | 70,0 | 97,5 | 232,5 |
| მჩატე | 77,5 | 80,0 | 112,5 | 270,0 |
| ქვემსუბუქი | 82,5 | 85,0 | 117,5 | 285,0 |
| მსუბუქი | 90,0 | 95,0 | 127,5 | 312,5 |
| ქვესაშუალო | 97,5 | 102,5 | 132,5 | 332,5 |
| საშუალო | 102,5 | 107,5 | 140,0 | 350,0 |
| ქვემძიმე | 105,0 | 110,0 | 147,5 | 362,5 |
| მძიმე | 115,0 | 120,0 | 160,0 | 395,0 |
| ზემძიმე | 122,5 | 125,0 | 165,0 | 412,5 |
| **მეორე თანრიგი** | | | | |
| უმჩატესი | 57,5 | 62,5 | 85,0 | 205,0 |
| მჩატე | 67,5 | 72,5 | 97,5 | 237,5 |
| ქვემსუბუქი | 72,5 | 77,5 | 100,0 | 250,0 |
| მსუბუქი | 77,5 | 82,5 | 115,0 | 275,0 |
| ქვესაშუალო | 82,5 | 87,5 | 122,5 | 292,5 |
| საშუალო | 87,5 | 92,5 | 125,0 | 305,0 |
| ქვემძიმე | 92,5 | 97,5 | 127,5 | 317,5 |
| მძიმე | 102,5 | 107,5 | 140,0 | 350,0 |
| ზემძიმე | 105,0 | 110,0 | 145,0 | 360,0 |
| **მესამე თანრიგი** | | | | |
| უმჩატესი | 47,5 | 55,0 | 72,5 | 175,0 |
| მჩატე | 55,0 | 62,5 | 82,5 | 200,0 |
| ქვემსუბუქი | 57,5 | 65,0 | 87,5 | 210,0 |
| მსუბუქი | 65,0 | 72,5 | 95,0 | 232,5 |
| ქვესაშუალო | 70,0 | 77,5 | 100,0 | 247,5 |
| საშუალო | 72,5 | 80,0 | 105,0 | 257,5 |
| ქვემძიმე | 75,0 | 82,5 | 110,0 | 267,5 |
| მძიმე | 77,5 | 85,0 | 117,5 | 280,0 |
| ზემძიმე | 82,5 | 90,0 | 122,5 | 295,0 |
| **მოზარდთა თანრიგი (14-16 წელი)** | | | | |
| უმჩატესი | 30,0 | 35,0 | 57,5 | 122,5 |
| მეორე უმჩატესი | 35,0 | 40,0 | 62,5 | 137,5 |
| მესამე უმჩატესი | 40,0 | 45,0 | 67,5 | 152,5 |
| მჩატე | 45,0 | 50,0 | 72,5 | 167,5 |
| ქვემსუბუქი | 50,0 | 55,0 | 77,5 | 182,5 |
| პირველი მსუბუქი | 55,0 | 60,0 | 82,5 | 197,5 |
| მეორე მსუბუქი | 57,5 | 65,0 | 85,0 | 207,5 |
| პირველი ქვესაშუალო | 62,5 | 70,0 | 90,0 | 222,5 |
| მეორე ქვესაშუალო | 65,0 | 72,5 | 95,0 | 232,5 |
| პირველი საშუალო | 70,0 | 77,5 | 97,5 | 245,0 |
| მეორე საშუალო | 72,5 | 80,0 | 100,0 | 252,5 |
| ქვემძიმე | 75,0 | 82,5 | 102,5 | 260,0 |

### თანრიგების დამტკიცება

თანრიგის დამტკიცებისთვის — შეასრულონ იგივე სათანრიგო ნორმები.

### სათანრიგო ნორმების შესრულების პირობები

1. სათანრიგო ნორმები შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, თუ მსაჯების რიცხვი და კვალიფიკაცია დადგენილ ნორმას შეესაბამება.

2. სამი ვარჯიშის ჯამში სათანრიგო ნორმების შესრულება ითვლება იმ პირობით, თუ სათანრიგო ნორმა შესრულებულია ყოველ ცალკეულ ვარჯიშში.

3. მოზარდთა თანრიგები სპორტსმენებს ენიჭებათ 14 წლიდან.

### წონითი კატეგორიები

| ვაჟები | წონა კგ-ში | ჭაბუკები | წონა კგ-ში |
|---|---|---|---|
| უმჩატესი | 52 | უმჩატესი | 44 |
| მჩატე | 56 | მეორე უმჩატესი | 48 |
| ქვემსუბუქი | 60 | მესამე უმჩატესი | 52 |
| | | მჩატე | 56 |
| მსუბუქი | 67,5 | ქვემსუბუქი | 60 |
| ქვესაშუალო | 75 | პირველი მსუბუქი | 64 |
| | | მეორე მსუბუქი | 67,5 |
| საშუალო | 82,5 | პირველი ქვესაშუალო | 71 |
| ქვემძიმე | 90 | მეორე ქვესაშუალო | 75 |
| | | პირველი საშუალო | 78 |
| მძიმე | 110 | მეორე საშუალო | 82,5 |
| ზემძიმე | 110-ზე ზევით | ქვემძიმე | 82,5-ზე ზევით |

# ახალი აუზის კარგი სტარტები

ამას წინათ სოხუმის ყურეში საზეიმოდ გაიხსნა „განთიადის" ახალი 50-მეტრიანი საწყლოსნო სადგური.

გახსნის დღეს დაიწყო აფხაზეთის V სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ცურვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონების, ქალაქების სოხუმისა და ტყვარჩელის გუნდების 150 სპორტსმენი.

დამყარდა აფხაზეთის ახალი რეკორდები. მაგალითად, გაგრელმა მოსწავლემ ო. კოზირევამ იმარჯვა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. სოხუმის მე-4 სკოლის მოსწავლემ ვ. გაბისონიამ დაამყარა ჭაბუკთა რეკორდი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. გაგრის რაიონის გუნდის (ლ. სუინა, ო. ზალათელია, ო. კოზირევა და ს. ტიხონოვა) შედეგი 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში აფხაზეთის გოგონათა და ქალთა რეკორდებია.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა გაგრის რაიონის ნაკრებმა, რომელმაც 450 ქულა მოაგროვა.

გაგრის რაიონის სპორტსმენებს გადაეცათ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დაწესებული თასი და პირველი ხარისხის სიგელი.

გაგრელთა წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მათ ბიჭვინთის საცურაო აუზში რეგულარული ვარჯიშის ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

II ადგილი დაიკავეს სოხუმის მოცურავეებმა (284 ქულა), III — გუდაუთის სპორტსმენებმა (103,5).

ასპარეზობაში აფხაზეთის სპორტის ისტორიაში პირველად მონაწილეობდა ტყვარჩელის გუნდი. ამ გუნდის წევრებმა ჩამოიტოვეს ოჩამჩირის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების წარმომადგენლები და IV ადგილი დაიკავეს.

**გ. იაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

* * *

**სურათზე:** „განთიადის" ახალი აუზი სოხუმის ყურეში.

ავტორის ფოტო.

# წარმატებას გისურვებთ, ჰოკეისტებო!

ბრიუსელი, 17 სექტემბერი. ბელგიის დედაქალაქში 18-27 სექტემბერს ტარდება ევროპის I ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ 19 ქვეყნის გუნდები.

საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ ბალახის ჰოკეი სპორტის თითქმის ყველაზე ძველი სახეობაა. კერძოდ, ამას მოწმობს ბარელიეფი, რომელიც 1922 წელს აღმოაჩინეს ათენში. თემისტოკლეს დროის (525-460 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ამ ბარელიეფზე აღბეჭდილია ჰოკეის ბურთითა და მოკაუჭებული ჯოხებით თამაშის მომენტი. მოიპოვება ბევრი ცნობა იმის დასადასტურებლად, რომ რაღაც ამდაგვარ თამაშს იცნობდნენ ძველი ეგვიპტელები, სპარსელები, ჩინელები და იაპონელები.

1272 წლით დათარიღებულ ერთერთ ირლანდიურ მასალაში შემონახულია ცნობა, რომ ეს თამაში „ურლეისა" თუ „ურლინგის" სახელწოდებით გავრცელდა ევროპაში. XIV საუკუნეში ჰოკეის, რომელსაც მაშინ „ბურე" ერქვა, თამაშობდნენ საფრანგეთში. 10 წლის წინ ინგლისის ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა ჰოკეისტთა კლუბმა „ბლეკჰეტმა" თავისი დაარსების 100 წლისთავი აღნიშნა.

ბალახზე ჰოკეის სსრ კავშირში ჯერ ძალიან მცირე ხნის ისტორია აქვს, მაგრამ საბჭოთა ნაკრები უკვე მონაწილეობს დიდ შეჯიბრებაში. „ჩვენ ჩამოვედით, რათა ვისწავლოთ და გამოცდილება შევიძინოთ, მაგრამ მაინც შეუპოვრად ვიბრძოლებთ", — განაცხადა საბჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. მენშიკოვმა.

საბჭოთა გუნდის დებიუტი ორ მნიშვნელოვან მოვლენას ემთხვევა: 21 სექტემბერს ბრიუსელში ბალახის ჰოკეის ევროპული ფედერაციის ასამბლეაზე განხილული იქნება საბჭოთა ფედერაციის ევროპულ ფედერაციაში მიღების საკითხი; 26 სექტემბერს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე საბჭოთა ფედერაცია დროებითიდან მუდმივ წევრთა შორის უნდა ჩაირიცხოს. აქვე გადაწყდება 1971 წელს პაკისტანში I მსოფლიო ჩემპიონატისა და 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიური ტურნირის გამართვის საკითხი.

(საკდესი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1970

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი

**0 : 0**

მოსკოვი, 17 სექტემბერი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ იდგილობრივი „ტორპედო“ და „არარატი“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

# ჩემპიონთა თასზე

## „სპარტაკმა“ გაიმარჯვა — 3:2

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელები პირველად მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. მეთექვსმეტედფინალურ მატჩში, რომელიც მოსკოვში გაიმართა 16 სექტემბერს, მათი მეტოქე იყო შვეიცარიის „ბაზელი“.

სტუმრებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ. მათ თითქმის მთელი მატჩი დაცვაში გაატარეს. „სპარტაკმა“ ამით ისარგებლა და უკვე მე-17 წუთზე ოსიანინმა ანგარიში გახსნა. იმავე ოსიანინმა შესვენების შემდეგ სტუმართა კარში მეორე ბურთი გაიტანა, მერე კი მაპაევმა კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 3:0.

და აი, მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი მოთავებული იყო, „ბაზელი“ უცებ მთელი ძალით ამოქმედდა და „სპარტაკის“ კარისკენაც გაიხედა. 79-ე წუთზე შვეიცარიელთა კაპიტანმა ოდერმატმა გაქვითა ერთი გოლი, ხოლო ცნობილი ინგლისელი მსაჯის ჯ. ფინეის საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე მეორე გოლი გაიტანა ბენტჰაუსმა (იგი ერთდროულად გუნდის მწვრთნელიცაა).

ახლა სპარტაკელებს 30 სექტემბერს ძალიან ძნელი საპასუხო მატჩი ელით ბაზელში.

* * *



**სურათზე:** „სპარტაკისა“ და „ბაზელის“ შეხვედრის მომენტი. მეტევარზე არიან მასპინძლები.

ვ. ტრუშნიკოვის ფოტო („იზვესტია“).

სხვა მატჩები

„სტანდარდი“ (ბელგია) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 2:0, „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბკ-1903“ (დანია) 2:1, „ევერტონი“ (ინგლისი) — „კეფლავიკი“ (ისლანდია) 6:2, „უიპეშტი“ (უნგრეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 2:0, „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „ფლორიანა“ (მალტა) 5:0, „ატლეტიკო“ (ესპანეთი) — „აუსტრია“ (ავსტრია) 2:0, „სელტიკი“ (შოტლანდია) — „კოკოლა“ (ფინეთი) 9:0, „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ჟენესი“ (ლუქსემბურგი) 2:1, „ბორუსია“ (გფრ) — „ეპა“ (კვიპროსი) 6:0, „კალიარი“ (იტალია) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) 3:0, „ფენერბაჰჩე“ (თურქეთი) — „კარლ ცაისი“ (გდრ) 0:4, „გეტებორგი“ (შვეცია) — „ლეგია“ (პოლონეთი) 0:4, „გლენტორანი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „უოტერფორდი“ (ირლანდია) 1:3, „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „უტ არადი“ (რუმინეთი) 1:1, „ნენდორი“ (ალბანეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 2:2.

# თასების მფლობელთა თასზე

## „ქარპატი“ დამარცხდა — 0:1

სსრ კავშირის თასის შარშანდელი მფლობელი — ლვოვის „კარპატი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა რუმინეთის დედაქალაქის — ბუქარესტის არმიულ გუნდ „სტიაუას“ (მეთექვსმეტედფინალი).

მატჩი უმთავრესად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ შესამჩნევი იყო რუმინელ ფეხბურთელთა უფრო მაღალი ტექნიკა და გააზრებული მოქმედება. თავიანთ მხრივ მასპინძლებმაც რამდენიმე კარგი საიერიშო კომბინაცია განახორციელეს, მაგრამ გრეშჩაკმა, გაბოვდამ და კულჩინსკიმ ვერ გამოიყენეს მეტოქის კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი.

მატჩის (მსაჯი ი. გოლტი, უნგრეთი) ბედი გადაწყდა 88-ე წუთზე. ლვოველთა ერთ-ერთი მცველის შეცდომის შედეგად „სტიაუას“ თავდამსხმელი ტატარუ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და გოლიც გაიტანა.

„კარპატის“ საპასუხო შეხვედრა გაიმართება 30 სექტემბერს ბუქარესტში.

სხვა მატჩები

„მანჩესტერ-სიტი“ (ინგლისი) — „ლინფილდი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 1:0, „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ოლიმპია“ (იუგოსლავია) 1:1, „არისი“ (საბერძნეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი) 1:1, „ციურიხი“ (შვეიცარია) — „აკურეირი“ (ისლანდია) 7:1, „კარდიფ-სიტი“ (უელსი) — „პოლი“ (კვიპროსი) 8:0, „კიკერი“ (გფრ) — „ბრიუგე“ (ბელგია) 2:1, „ჰიბერნიენი“ (მალტა) — „რეალი“ (ესპანეთი) 0:0, „ფორვერტსი“ (გდრ) — „ბოლონია“ (იტალია) 0:0, ცსკა (ბულგარეთი) — „ჰალკეაკოსკი“ (ფინეთი) 9:0, „აბერდინი“ (შოტლანდია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი) 3:1, „სტრემგოდსეტი“ (ნორვეგია) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 0:5, „ოლბორგი“ (დანია) — „გურნიკი“ (პოლონეთი) 0:1, „გიოზთეფე“ (თურქეთი) — „უნიონი“ (ლუქსემბურგი) 5:0, „ვაკერი“ (ავსტრია) — „პარტიზანი“ (ალბანეთი) 3:2, „გოტვალდოვი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ვინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 2:1.

„ბ“ კლასი

## „მეშახტემ“ მოინდომა

კარგა ხანია ტყიბულელ გულშემატკივრებს არ უნახავთ თავიანთი გუნდის ასეთი მონდომებული და ენერგიული თამაში. მით უფრო, რომ 17 სექტემბერს მისი მეტოქე იყო „ბ“ კლასის II ზონის 1 ქვეჯგუფის ლიდერი — რუსთავის „მეტალურგი“.

„მეშახტემ“ თავიდანვე აიწყო თამაში და მაღალი ტემპი შესთავაზა სტუმრებს. უკვე მე-3 წუთზე ლოპატინმა, ხოლო შემდეგ სირაძემ ზედიზედ ორჯერ დაკარგეს ბურთის გატანის შესაძლებლობა. მართალია, მეტალურგებსაც ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შანსი, რომელიც ვერ გამოიყენა ხვედელიძემ, მაგრამ სახიფათო მომენტი გაცილებით ხშირად მათს კართან იქმნებოდა. მაგალითად, ორჯერ დარჩა კარგ პოზიციაში თურქია და ბურთი ორივეჯერ აცდა „მეტალურგის“ კარს.

კიდევ უფრო უკეთ ითამაშეს მასპინძლებმა მეორე ტაიმში. მიმდინარეობდა 67-ე წუთი, როცა საგოლე პოზიციაში მყოფი აუშტროვი მცველებმა სახარიმო მოედანზე მოცელეს. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა სირაძემ — 1:0.

81-ე წუთზე კომბინაცია აუშტროვი — სირაძე — აუშტროვი დამთავრდა მეორე გოლით რუსთაველთა კარში.

მასპინძლები მატჩის ბოლომდე უტევდნენ. მათი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია.

ზ. ჯორჯაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტყიბული.

I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაირათი“ (ალმა-ათა) | 31 | 19 | 6 | 6 | 53—20 | 44 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 31 | 16 | 10 | 5 | 42—18 | 42 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 31 | 17 | 7 | 7 | 38—20 | 41 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 31 | 12 | 15 | 4 | 35—19 | 39 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 31 | 15 | 7 | 9 | 44—35 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 31 | 14 | 8 | 9 | 37—25 | 36 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 31 | 15 | 6 | 10 | 35—24 | 36 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 31 | 13 | 9 | 9 | 27—28 | 35 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 31 | 11 | 10 | 10 | 31—23 | 32 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 31 | 10 | 12 | 9 | 31—31 | 32 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 31 | 10 | 11 | 10 | 32—26 | 31 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 31 | 12 | 5 | 14 | 29—31 | 29 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 31 | 8 | 13 | 10 | 19—25 | 29 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 31 | 9 | 11 | 11 | 26—37 | 29 |
| სკა (ხაბაროვსკი) | 31 | 8 | 12 | 11 | 18—25 | 28 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 31 | 9 | 9 | 13 | 22—39 | 27 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 31 | 9 | 8 | 14 | 32—42 | 26 |
| სკა (კიევი) | 31 | 9 | 6 | 16 | 32—38 | 24 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 31 | 7 | 10 | 14 | 27—35 | 24 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 31 | 6 | 11 | 14 | 23—37 | 23 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 30 | 7 | 8 | 15 | 22—36 | 22 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 30 | 4 | 6 | 20 | 16—57 | 14 |

II ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 31 | 18 | 10 | 3 | 45—19 | 46 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 30 | 16 | 11 | 3 | 39—11 | 43 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 31 | 15 | 10 | 6 | 60—27 | 40 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 31 | 16 | 8 | 7 | 43—24 | 40 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 31 | 12 | 12 | 7 | 30—28 | 36 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 32 | 10 | 14 | 8 | 33—30 | 34 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 31 | 12 | 10 | 9 | 33—33 | 34 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 31 | 13 | 7 | 11 | 37—35 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 31 | 10 | 13 | 8 | 31—36 | 33 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 31 | 11 | 9 | 11 | 37—32 | 31 |
| „სალიუტი“ (ბელგოროდი) | 31 | 8 | 14 | 9 | 30—30 | 30 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 29 | 11 | 7 | 11 | 25—27 | 29 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 31 | 11 | 6 | 14 | 33—29 | 28 |
| „დილა“ (გორი) | 29 | 10 | 8 | 11 | 34—36 | 28 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 28 | 10 | 7 | 11 | 29—32 | 27 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 31 | 7 | 13 | 11 | 28—38 | 27 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 28 | 8 | 9 | 11 | 30—31 | 25 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 31 | 6 | 13 | 12 | 27—33 | 25 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 27 | 8 | 8 | 11 | 20—28 | 24 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 31 | 7 | 8 | 16 | 29—45 | 22 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 31 | 4 | 9 | 18 | 20—59 | 17 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 31 | 4 | 8 | 19 | 17—47 | 16 |



## იმედიანი უვერტიურა

ზიგენი, 18 სექტემბერი. გასულ ოთხშაბათს „ზიგენლანდჰალეში“ დაიწყო XIX საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური ბრძოლები. რა თქმა უნდა, საერთო ყურადღებას იპყრობს ის ფინალური ტურნირი, რომელშიც ჩემპიონის ოქროს მედლების ბედი წყდება.

ტურნირში ბრძოლა II ტურით დაიწყო (როგორც ვიუწყებოდით, I ტურის შედეგებად ჩაითვალა ნახევარფინალებში გუნდების შეხვედრების ანგარიშები). ამ დღეს სსრ კავშირის ნაკრები გფრ-ის გუნდს ეთამაშა. საბჭოთა დიდოსტატებს გამარჯვების ქულა მოუტანა ვ. კორჩნოიმ, რომელმაც დიდოსტატ ქ. დარგას ფარ-ხმალი დააყრევინა 38-ე სვლაზე. დანარჩენი სამი შეხვედრა: ბ. სპასკი — ვ. უნციკერი, ტ. პეტროსიანი — ლ. შმიდი, ლ. პოლუგაევსკი — ჰ. პფლეგერი ყაიმით დასრულდა. ამრიგად, გაიმარჯვეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა — 2,5:1,5.

მთავარ ფინალში სხვა მატჩების ანგარიშები ჯერჯერობით ასეთია: უნგრეთი — არგენტინა 1,5:0,5 (2 პარტია გადაიდო), იუგოსლავია — ბულგარეთი 2:1 (1), ესპანეთი — გდრ 2:1 (1), ჩეხოსლოვაკია — კანადა 1,5:0,5 (2), რუმინეთი — აშშ 1:1 (2).

დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები (5,5 ქულა) და იუგოსლავიის გუნდი — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ჩვენი კომენტარი

საჭადრაკო სამყარო შეეჩვია იმ აზრს, რომ სსრ კავშირის გუნდი უძლეველია. მართლაც, 1952 წლიდან საბჭოთა დიდოსტატებმა ცხრაჯერ დაისაკუთრეს ჰამილტონ-რასელის თასი. ერთხელ, XIII ოლიმპიადაში, მათ ისე მოიპოვეს ჩემპიონობა, რომ ყველა (ნახევარფინალური და ფინალური) მატჩი მოიგეს. ეს არნახული წარმატება იყო.

ზიგენში ახლაც არავის ეპარება ეჭვი, რომ ოლიმპიური ჩემპიონის თასი ისევ მოსკოვში დარჩება. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ შესასრულებლად ძალიან ძნელია. სხვა ქვეყნების მოჭადრაკეები ბოლო წლებში შესამჩნევად დაოსტატდნენ და ახლა უფრო შეუპოვრად იბრძვიან ოლიმპიური მედლებისთვის.

ეს ამბავი XIX ოლიმპიადის შეხვედრებშიც იგრძნობა. თვალი გადავავლოთ მეტოქეთა შანსებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის გუნდის მთავარი მოცილენი არიან იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ამერიკელები ოთხჯერ იყვნენ ჰამილტონ-რასელის თასის მფლობელნი (მეორე მსოფლიო ომამდე), მაგრამ ბოლო წლებში პრიზიორთა შორისაც ვერ ხვდებოდნენ. მათს გუნდს მუდამ რომელიმე უძლიერესი დიდოსტატი აკლდა. ამერიკული ჭადრაკის მესვეურებმა, როგორც იქნა, შეძლეს მთლიანი, ძლიერი ანსამბლის შექმნა და პირველობის სერიოზული მაძიებელნი გახდნენ. მათს გუნდში არიან ფიშერი, რეშევსკი, ევანსი, ბენკო, ლომბარდი და მედნისი.

შესარჩევ ტურნირში მოგებათა სერიით ამერიკელებმა ქვეყანა აალაპარაკეს, მაგრამ ფინიშზე უსიამოვნო მარცხი იწვნიეს გდრ-ის გუნდთან—1,5.2,5. თვით ფიშერი, რომელიც პარტიას პარტიაზე იგებდა, ძლივს გადაურჩა ულმანს (პარტია ყაიმით დამთავრდა). შემთხვევითობა იყო თუ გუნდი ძლიერ მეტოქესთან შედრკა? ამ კითხვაზე გვიპასუხებს ფინალური ტურნირი, რომელიც ამერიკელებმა კარგად დაიწყეს.

იუგოსლაველთა გუნდი მხოლოდ ერთხელ (1950 წ.) იყო ოლიმპიადაში პირველი: 1952 წლიდან იგი ხან მეორეა, ხან მესამე. ეს სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია. იუგოსლავიაში ბევრია ძლიერი მოჭადრაკე. ამ ქვეყნის გუნდი ზიგენშიც შთამბეჭდავად გამოიყურება — დიდოსტატები გლიგორიჩი, ივკოვი, მატანოვიჩი, მატულოვიჩი, პარმა და საერთაშორისო ოსტატი მინიჩი. იუგოსლაველთა კოლექტივმა შესარჩევი ტურნირის სიძნელეები ადვილად დაძლია.

რა თქმა უნდა, რუმინეთის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებიც არ იქნებიან გულხელდაკრეფილი, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა დროს ამ ქვეყნების მოჭადრაკეებს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაუსაკუთრებიათ.

აღნიშვნის ღირსია ესპანეთის ნაკრებიც. ამ გუნდს გენიალური ა. ალიოხინის ნამოწაფარი, დიდოსტატი პომარი თავკაცობს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წარმატებისთვის საკმარისი არ იქნებოდა. გუნდის სხვა წევრები: ოსტატები დელ კორალი, ტორანი, მედინა და კალვეო სწორედ ის მოჭადრაკეები არიან, რომლებმაც ბოლო წლებში ესპანეთში, პალმა დე მალიორკაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა შესარჩევ ტურნირში, სადაც ესპანელთა გუნდი საბჭოთა დიდოსტატებს მეტოქეობდა.

ოლიმპიადაში შემთხვევითობისგან არავინაა დაზღვეული. არის სენსაციებიც. საკმარისია გავიხსენოთ დიდოსტატ ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) წაგება ტანთან (ინდონეზია).

ეს-ესაა სტარტი აიღო ოლიმპიადის მედლების მთავარ მაძიებელთა ტურნირმა. წინ არც ისე შორეული (ოლიმპიადა 26 სექტემბერს მთავრდება), მაგრამ მღელვარებით სავსე გზაა. გვწამს, რომ სსრ კავშირის წარგზავნილები კიდევ ერთხელ (უკვე მეათედ) შეინარჩუნებენ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის სახელს.

თ. გიორგაძე.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## ყველა მსურველისთვის

ვალინთან ახლოს, წარმტაც როკა-ალ-მარეში, ჩატარდა ავტორალი „ვირუ", რომლის მონაწილეებმაც 600-კილომეტრიანი გზა გაიარეს. ესტონეთში ავტოსპორტი ძალიან პოპულარულია და ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ტალინის საზღვაო რაიონის დოსააფის კლუბ „სპორტის" თაოსნობით მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 500 მრბოლელმა გამოთქვა. ეს სარეკორდო ციფრია.

სარბიელზე ყველა მსურველი დაუშვეს. საინტერესოა, რომ სტარტზე გამოვიდნენ ხარიუსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „რახვა ვიიტის" კოლმეურნეები, „კივიილის" მაღაროსა და პეგელმანის სახელობის რადიოტექნიკური ქარხნის წარმომადგენლები, საბჭოთა მეურნეობა „ვაიდის" და ტალინის ტაქსომოტორების პარკის ენთუზიასტები.

მაგრამ შეჯიბრებისთვის მომზადებული ყველა როდი აღმოჩნდა. და ტექნიკურმა კომისიამ საასპარეზოდ მხოლოდ 150 ეკიპაჟი დატოვა. საუკეთესონი აღმოჩნდნენ ისინი, ვისაც სანიმუშოდ ჰქონდა მომზადებული მანქანა, ვისაც უკეთ შეეძლო ადგილზე ორიენტირება. რალის პროგრამაში შედიოდა, აგრეთვე, შეჯიბრება მანქანის ფიგურულ მართვაში, მთაზე ასვლაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, სპრინტში. ეკიპაჟები ასპარეზობდნენ „ვოლგის", „მოსკვიჩისა" და „ზაპოროჟეცის" მანქანებით.

ინდივიდუალურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ტიურის ხე-ტყის კომბინატის ავტობაზის უფროსმა ი. ხანსარმა და მისმა თანაშეწყვილემ, პროფესიით შემდუღებელმა ტ. პიიგერტმა. ქალთა შორის საუკეთესო იყო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მძღოლი ხ. ვასური. გუნდურ ჩათვლაში პირველობდა ვირუს № 3 ავტობაზა.

ტალინი.

## „იქთიანდრი"—ცურვის მასწავლებელი

ამ ზაფხულს ურალის ქალაქ ვერხნიაია პიშმაში კიდევ 100 ბიჭმა და გოგონამ ისწავლა ცურვა. ბავშვები დაეუფლნენ ორი ყაიდით — თავისუფალი სტილით და გულაღმა ცურვის ოსტატობას. მათ ეხმარებოდა სვერდლოვსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ნ. ფრიდმანი. თუმცა, მთავარი წვლილი მაინც „იქთიანდრს" მიუძღვის. ასე ჰქვია ქალაქის ახალ საბავშვო აუზს 20-მეტრიანი აბაზანით, რომელიც სამკერვალო ფირმა „რადუგის" კოლექტივმა ააგო.

ამ ქალაქში ადგილობრივი საწარმოების ძალებით უკვე 5 ასეთი აუზია აგებული. აუზები მთელი წლის მანძილზე მუშაობენ.

ვ. სტარიკოვი.

სვერდლოვსკი.

## იჟევსკელი ზეინკლის სომბრერო

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ. იჟევსკის მექანიკური ქარხნის კოლექტივში დავა და კამათი ახალი ძალით დაიწყო. მიზეზი გახდა მექსიკური სომბრერო, რომელიც საწარმოს ახალგაზრდა მუშამ ვ. ბატოვმა მოსკოვიდან მიიღო. იგი აღმოჩნდა მფლობელი საფეხბურთო „ორაკულების" ერთადერთი პრიზისა, რომელიც გაზეთმა „იზვესტიამ" დააწესა.

კონკურსის მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ შემდეგ შეკითხვებზე: რომელი გუნდების კაპიტნები ავლენ მეხიკოში საპატიო კვარცხლბეკზე? რა თანმიმდევრობით გაინაწილებენ ისინი ადგილებს? ვინ გაიტანს სხვებზე მეტ ბურთს?

530 ათასი პასუხიდან ზუსტი აღმოჩნდა მხოლოდ 20. გამარჯვებულთა შორის იჟევსკელი ზეინკალიც იყო. ჟიურის წევრებმა კენჭისყრა მოაწყვეს, რათა უპირატესობა ამ ოციდან ერთისთვის მიეკუთვნებინათ.

ლ. დანილოვი.

იჟევსკი.

## საკდესი გვატყობინებს

მოსკოვი. აქ გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა „ქიმია-70".

სურათზე: საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლები ეცნობიან ექსპოზიციას „ქიმია ყოფა-ცხოვრებაში".

ვ. ჩერედინცევის ფოტო.



# ჩემპიონი რინგზე ბრუნდება

სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე მოჰამედ ალი, რომელიც ადრე კასიუს კლეის სახელით იყო ცნობილი, რინგზე ბრუნდება. ქალაქ ატლანტის (ჯორჯიის შტატი) ხელისუფლებმა მას, როგორც იქნა, მისცეს უფლება მატჩი გამართოს მეორე ცნობილ ამერიკელ მძიმეწონოსანთან ჯ. კვორისთან (კალიფორნიის შტატი). მატჩი ატლანტაში უნდა შედგეს 26 ოქტომბერს.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს 1964 წლიდან პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოჰამედ ალის 1967 წელს უკანონოდ ჩამოართვეს ეს ტიტული, რადგან ცნობილმა სპორტსმენმა უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში სამსახურზე და გაკიცხა ამერიკის აგრესია ვიეტნამში. ალის პატიმრობა მიუსაჯეს (ეს განაჩენი ახლა აშშ-ს უმაღლეს სასამართლოშია გადაგზავნილი განსახილველად). ხელისუფლებამ კლეის რინგზე გამოსვლა აუკრძალა, მაგრამ დევნამ და მუქარამ ვერ მოტეხა ზანგი სპორტსმენი, რომელიც თავისი რწმენის ერთგული დარჩა.

ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე, როცა საზოგადოებრივი აზრის ძალდატანების შედეგად ალის კვლავ დართეს რინგზე დაბრუნების უფლება, მან რამდენიმე საჩვენებელი შეხვედრა ჩაატარა. მიუხედავად ხანგრძლივი იძულებითი შესვენებისა, ალი ცუდ ფორმაში როდია.

მატჩი 26 წლის კვორისთან (შეხვედრა 15 რაუნდადაა დაგეგმილი) პირველი სერიოზული გამოცდა იქნება ალისთვის, ამასთან, არა მხოლოდ სპორტული, არამედ პოლიტიკურიც. ამერიკის რეაქციამ უკვე ატეხა ხმაური ამ მატჩის ირგვლივ და ცდილობს ხელი შეუშალოს მის ჩატარებას. როგორც პრესა იუწყება, „ამერიკული ლეგიონი" და სხვა ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები ცდილობენ გავლენა მოახდინონ კვორიზე, რათა მან უარი თქვას მატჩში მონაწილეობაზე.

როცა კვორის ჰკითხეს, ხომ არ შიშობთ, რომ არაპატრიოტულ საქციელში დაგდებენ ბრალსო, მან უპასუხა: „ვინ დამდებს ბრალს? გამყიდველი პოლიტიკოსებისთვის მიმიფურთხებია. თუ ისინი ამერიკის ხალხის სურვილის მიხედვით არ მართავენ სახელმწიფოს, მე რაღად მივაქცევ მათ ყურადღებას?"

კვორიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალი მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონად მიაჩნია და რომ ამ ტიტულის დაკარგვა მხოლოდ რინგზე შეიძლება.

რაც შეეხება ამჟამინდელ ოფიციალურ ჩემპიონს ჯ. ფრეზერს, როგორც ფიქრობენ, კვორისთან გამარჯვების შემთხვევაში ალის შეუძლია მას შეხვდეს ამ წლის ბოლოს ან მომავალი წლის დამდეგს. ასე იქნება, თუ, რა თქმა უნდა, საქმეში ისევ ხელისუფლება არ ჩაერია.

ე. ეგოროვი.
(საკდესის კორ.).

ნიუ-იორკი.

# როგორ გრძნობთ თავს, ნახევარფინალისტებო?

როტერდამი, 18 სექტემბერი. დღეს აქ ევროპის კალათბურთელ ქალთა XII ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეა. გულშემატკივართა ყურადღების ცენტრშია ორი ნახევარფინალური მატჩი, რომლებმაც უნდა გამოავლინონ გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილენი. ევროპის 1970 წლის ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტები ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — იუგოსლავია და ბულგარეთი — საფრანგეთი.

რა შეიძლება ითქვას ნახევარფინალისტებზე? ყველაზე საპატიო ტიტულებს, რა თქმა უნდა, კონტინენტის 9-გზის ჩემპიონები, სსრ კავშირის კალათბურთელები ფლობენ. ისინი 10-ჯერ მონაწილეობდნენ ნახევარფინალში.

ნახევარფინალში მონაწილეობის საკმაოდ სოლიდური სტაჟი აქვთ ბულგარელებსაც. 1952 წლიდან მოყოლებული, ისინი 7-ჯერ ზედიზედ ირიცხებოდნენ ფინალისტთა ოთხეულში. ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის გადამწყვეტ ნახევარეტაპს ორ-ორჯერ მიაღწიეს საფრანგეთისა (1938 და 1950 წ.წ.) და იუგოსლავიის (1958 და 1968 წ.წ.) გუნდებმა.

აი, როგორი მაჩვენებლები აქვთ ურთიერთშეხვედრებში დღევანდელ ნახევარფინალისტებს:

| | | |
|---|---|---|
| 1952 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 63:49 |
| 1954 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 49:37 |
| 1956 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 86:44 |
| 1958 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 70:23 |
| 1962 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 55:26 |
| 1966 წ. | ბულგარეთი — საფრანგეთი | 63:56 |

როგორც ხედავთ, 16 წლის მანძილზე ფრანგებმა ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოუგეს თავიანთ ძველ მეტოქეებს — შეფარდებაც აბსოლუტურად საუკეთესოა ბულგარელთა სასარგებლოდ:

| | თ. | მ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 6 | 0 | 386—235 |
| საფრანგეთი | 6 | 0 | 6 | 235—386 |

კიდევ უფრო უკეთესი შედეგები აქვთ საბჭოთა კალათბურთელებს თავიანთ დღევანდელ მეტოქესთან — იუგოსლავიის ნაკრებთან: 7 მოგება და არც ერთი წაგება (1954 წელს სსრ კავშირის გუნდმა იუგოსლაველები ორჯერ დაამარცხა: წინასწარ შეხვედრაში და ფინალურ ჯგუფში). აი, ეს ცხრილიც:

| | | |
|---|---|---|
| 1954 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 48:43 |
| | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 82:31 |
| 1958 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 79:39 |
| 1960 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 78:35 |
| 1962 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 52:39 |
| 1964 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 68:37 |
| 1968 წ. | სსრ კავშირი — იუგოსლავია | 84:51 |

ცხადია, ჯერ მარტო ამ შედეგებით საბჭოთა ქვეყნის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ.

| | თ. | მ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 7 | 0 | 491—275 |
| იუგოსლავია | 7 | 0 | 7 | 275—491 |

ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი კალათბურთის მოყვარულთ საინტერესო ორთაბრძოლებს პირდება. შეგახსენებთ, რომ ხვალ ცნობილი იქნება ევროპის ახალი ჩემპიონის ვინაობა.

# მეხუთე ოკეანის ჩემპიონები

ბლედი, 17 სექტემბერი. საპარაშუტო სპორტის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც იქნა, ჩატარდა გადადებული შეჯიბრება 2000 მეტრის სიმაღლიდან აკრობატული ელემენტებით ხტომაში.

ამ რთულ ვარჯიშში, სადაც პარაშუტისტებს მოქნილობისა და სიზუსტის გარდა არტისტულობაც მოეთხოვებათ, ჩინებულად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები.

ქალთა შორის სამი ნახტომის ჯამში საუკეთესო შედეგი მოიპოვა ვოროშილოვგრადელმა ვ. ზაკორეცკაიამ. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ფრანგმა მ.-ფ. ბოლესმა, ბრინჯაოსი — აშშ-ს წარმომადგენელმა ჯ. როკიუმორმა. კიეველმა ა. ხმელნიცკაიამ და ჩებოქსარელმა მ. კოსტინამ IV-V ადგილები გაიყვეს.

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ლ. იაჩმენევი. ჩეხოსლოვაკიელი პარაშუტისტი ი. პოსპიშილი II ადგილზეა. მესამე იყო მინსკელი ვ. გურნი.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ ზიგენი, 18 სექტემბერი. საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალის მორიგ ტურში სსრ კავშირის გუნდი იუგოსლავიის ნაკრებს შეხვდა. ანგარიშია 1:1. ორი პარტია გადაიდო, სადაც საბჭოთა მოჭადრაკეებს უკეთესი პოზიციები აქვთ. ფინალის III ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: უნგრეთი — კანადა 4:0, გდრ — რუმინეთი 1,5:0,5 (2 გადადებული პარტია), ჩეხოსლოვაკია — ბულგარეთი 1:1 (2), აშშ — არგენტინა 2:1 (1), გფრ — ესპანეთი 1,5:1,5 (1). ჯერჯერობით ლიდერობენ უნგრეთის მოჭადრაკეები — 8,5 (1), II-III ადგილებს იყოფენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები — 6,5-6,5 (2-2). შემდეგ მოდიან იუგოსლავიისა და აშშ-ს მოჭადრაკეები—6-6 (2 და 1).

◆ ანკარა, 18 სექტემბერი. სსრ კავშირის რაპირისტმა ვაჟებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა გუნდურ ჩათვლაში — ფინალში დაამარცხეს უნგრეთის ნაკრები — 8:7. III ადგილისთვის იბრძოდნენ რუმინეთისა და იტალიის კოლექტივები. ბრინჯაო დაისაკუთრეს რუმინელებმა, რომელთაც გაიმარჯვეს ანგარიშით 9:2. ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა გუნდი ამ შემადგენლობით გამოდიოდა: ნოვოსიბირსკელი ა. კოტეშევი (3 გამარჯვება), ლვოველი ვ. სტანკოვიჩი (1), მოსკოველი ლ. რომანოვი (2) და კიეველი ვ. პუტიატინი (2). ამრიგად, საბჭოთა რაპირისტებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს უძლიერესთა სახელი. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებიდან გუნდში იყვნენ პუტიატინი, სტანკოვიჩი და რომანოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული კვირა

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. 19-21 სექტემბერი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. მონაწილეობენ საზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენები. დასაწყისი 17 ს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექცია აცხადებს დამატებითი კონტინგენტის მიღებას IV და VI კლასებში სპორტული ტანვარჯიშისა და ჩოგბურთის განხრით.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: თბილისი, გლდანი. № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ტელეფონი 66-41-34.

დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 08341